# საქართველოს მთავრობის

**დადგენილება №188**

**2011 წლის 21 აპრილი**

**ქ. თბილისი**

## პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურისა და პროფესიულ სტუდენტთა დაფინანსების წესის განსაზღვრის შესახებ

**მუხლი 1.** „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასური და ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა დაფინანსება განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. სახელმწიფო დაფინანსება გაიცემა იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებულ პრიორიტეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც  პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვას ახორციელებენ საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით.

2. პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალს და მათი დაფინანსების ზღვრულ ოდენობას ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურს ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის ყოველთვიური საფასური არ უნდა აღემატებოდეს 250 ლარს.

4. სახელმწიფო ფარავს პრიორიტეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის ღირებულების 80%-ს.

5. თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ შედის პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში, პროფესიული სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის სრულად.

6. სახელმწიფო სრულად აფინანსებს პრიორიტეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე იმ პირთა სწავლას, რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება საქართველოს მთავრობის მიერ საარსებო შემწეობის მისაღებად დადგენილ ზღვრულ ქულას.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური**

**შეტანილი ცვლილებები:**

1. **ძალადაკარგულია** – საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის დადგენილება №96 - ვებგვერდი, 19.03.2012წ.